ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის აგვისტოს 31.	№ 16 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველ- ლობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 190. ა/კსფსრ პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.
„ 191. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„ 192. სასოფლო საბჭოების დათვალიერების თვიურის ვადის განგრძობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 193. 1931 წლის სექტემბრის 1-თვის სამომზმარებლო კოოპერაციისათვის და მომარაგების სახალხო კომისარიატის შენაერთებისათვის იმ სადგომების გადაცემის შესახებ, რომლებშიაც წინად ხორცისა, თევზისა, ბოსტნეულისა და რძის ვაჭრობა სწარმოებდა.
„ 194. სარკინისგზო საწყობების თავის დროზე განტვირთვის ღონისძიებათა შესახებ.
„ 195. საუწყებო მილიციის შესანახად საჭირო სპეციალური სახსარის დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

„ 196. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის მოხსენების გამო—ბამბის გადასაზიდად გზების მზადმყოფობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

190. ა/კსფსრ პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს დებულება ა/კსფსრ პროკურატურის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან და დებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 22.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ პროკურატურის შესახებ.

თავი I.

პროკურატურის სტრუქტურა.

1. ა/კსფსრ პროკურატურა იმყოფება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. ა/კსფსრ პროკურატურის სათავეში სდგას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დანიშნული ა/კსფსრ-ის პროკურორი.

3. ა/კსფსრ პროკურორს ჰყავს ორი მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, პროკურორის სამი უფროსი თანაშემწე, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ა/კსფსრ პროკურორის წარდგენით, და პროკურორის თანაშემწენი, რომელთა რიცხვიც განისაზღვრება შტატებით და რომელთაც დანიშნავს ა/კსფსრ პროკურორი.

4. ა/კსფსრ პროკურორისა, მისი მოადგილეებისა და უფროსი თანაშემწეების სამართალში მიცემა, დაპატიმრება, პირადად შეპყრობა ან გაჩხრეკა არ შეიძლება ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის უცნობლად და თანხმობის გარეშე, ხოლო სასწრაფო შემთხვევაში—ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის უცნობლად და თანხმობის გარეშე.

ა/კსფსრ პროკურორის სხვა თანაშემწეების სამართალში მიცემა, დაპატიმრება, პირადად შეპყრობა ან გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ პროკურორის თანხმობით.

5. ა/კსფსრ პროკურორთან იმყოფებიან უდიდეს საქმეთა გამომძიებელნი, რომელთა რიცხვიც განისაზღვრება შტატებით და რომელთაც დანიშნავს ა/კსფსრ პროკურორი.

6. ა/კსფსრ პროკურატურის ხარჯთაღრიცხვას და შტატებს დაამტკიცებს ა/კსფსრ პროკურორი სათანადო წესისამებრ შემდგომი წარდგენისათვის.

7. ა/კსფსრ პროკურატურასთან მოეწყობა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურა, რომელიც მოქმედობს სპეციალური კანონის საფუძველზე.

თავი 2.

ა/კსფსრ პროკურატურის ფუნქციები.

8. ა/კსფსრ პროკურატურას საერთო ზედამხედველობის სფეროში დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების დადგენილებათა კანონიერებას სსრკ-ის კონსტიტუციისა და საერთო-საკავშირო კანონმდებლობისა და სსრკ-ის სახალხო კომისარიატების დადგენილებებისა, აგრეთვე ა/კსფსრ-ის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თვალსაზრისით, და შემჩნეულ დარღვევათა შესახებ წარუდგინოს მოხსენება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ან ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმს; უკეთუ ა/კსფსრ პროკურორი აღნიშნულ მოხსენებას წარუდგენს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, იგი იმავე დროს ამ მოხსენების ასლს გაუგზავნის ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს ცნობად;

შენიშვნა. „ა“ პუნქტის მოქმედება (თვალყურის დევნება) არ ვრცელდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის დადგენილებებზე;

ბ) თვალყური ადევნოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ, რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებათა კანონიერებას სსრკ-ის კონსტიტუციისა და საერთო-საკავშირო კანონმდებლობისა და აგრეთვე ა/კსფსრ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თვალსაზრისით და შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნეულ დარღვევათა შესახებ წარუდგინოს მოხსენება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს ან ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმს; უკეთუ ა/კსფსრ პროკურორი აღნიშნულ მოხსენებას წარუდგენს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, იგი იმავე დროს ამ მოხსენების ასლს გაუგზავნის ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს ცნობად;

გ) თვალყური ადევნოს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მოქმედების კანონიერებას;

დ) თვალყური ადევნოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და საერთო-ფედერატიული ორგანიზაციების მოქმედების კანონიერებას, თანაც იმ უფლებით, რომ შეეკითხოს მათ ჩადენილი უკანონო მოქმედება გამო და განაპროტესტოს ეს მოქმედება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში—კუთვნილებისამებრ;

შენიშვნა. ა/კსფსრ დაწესებულებათა და საწარმოთა და საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის ორგანიზაციების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების კანონიერებისათვის თვალყურის დევნებას ა/კსფსრ პროკურატურა ანხორციელებს უშუალოდ ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორების მეშვეობით;

ე) გაუწიოს საერთო გეგმიანობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურატურის მოქმედებას უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო კამპანიების ჩატარებისა, შრომის ურთიერთობისა, სხვადასხვაგვარ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში და სხვა ამისთ.

9. სასამართლო ზედამხედველობის სფეროში ა/კსფსრ პროკურატურას დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს ა/კსფსრ კანონმდებლობის წესიერ და თანაბარ შეფარდებას ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამაოთლო დაწესებულებების პრაქტიკაში და წარუდგინოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმს წინადადება—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოებისათვის საერთო-ფედერატიული კანონმდებლობის თაობაზე სახელმძღვანელო განმარტებებისა და დირექტივების მიცემის შესახებ;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების პლენუმთა დადგენილებები შეესაბამებოდეს მომქმედ კანონმდებლობას და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დირექტივებს, და წარუდგინოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმს წინადადება ამ დადგენილებების გაუქმების შესახებ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების მე-4 მუხლის „გ“ ლიტერით;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს მომქმედი კანონმდებლობის სისწორით შეფარდებას ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიებისა და სპეციალური სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლო საკრებულოების განაჩენებში, გადაწყვეტილებებში და დადგენილებებში და შეიტანოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში პროტესტები;

დ) აღძრას სისხლის სასამართლოს წესით დენა ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე; თვალყური ადევნოს გამოძიების წარმოებას ამ საქმეებზე; მისცეს ამ საქმეებს შემდგომი მსვლელობა და განახორციელოს საპროკურორო ფუნქციები სამსჯავრო და საგანმწესრიგებლო სხდომებზე ამ საქმეების გამო.

თავი 3.

ა/კსფსრ პროკურორის უფლება-მოვალეობანი.

10. ა/კსფსრ პროკურორს უფლება აქვს:

ა) წარუდგინოს სათანადო შემთხვევაში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმს წინადადებები თავისი კომპეტენციის საკითხების გამო;

ბ) მოითხოვოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს საგანგებო პლენუმის მოწვევა დაუყოვნებელი საკითხების განსახილველად;

გ) განაპროტესტოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის ისეთი დადგენილება, რაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში არ უნდა იქნეს შეტანილი, და აგრეთვე წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს თავისი პროტესტი ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის ისეთ დადგენილებაზე, რაც შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

დ) იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა თავისი კომპეტენციის საკითხების გამო ა/კსფსრ ყველა ცენტრალურ დაწესებულებასთან და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან, სახალხო კომისართა საბჭოებთან და ცენტრალურ დაწესებულებებთან და აღნიშნული რესპუბლიკების პროკურორებთან, და მოსთხოვოს მათ საჭირო ცნობები და მასალები;

ე) გამოსცეს ბრძანება, ცირკულიარი, ინსტრუქცია და განმარტება, რითაც განისაზღვრება ა/კსფსრ პროკურატურისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურატურის მოქმედების საფუძველი, წესი და მიმართულება;

ვ) გააუქმოს თავისი თანაშემწეების ბრძანება, ცირკულიარი, დადგენილება და განკარგულება;

ზ) მოითხოვოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი, სათანადო რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით, ამ რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებაში წარმოებულ ამა თუ იმ საქმეზე დადგენილებისა, განაჩენისა და გადაწყვეტილების ასლი, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ სცნობს,—აგრეთვე იმ წარმოებული საქმის დედანი, რომელზედაც განაჩენი და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) წინადადება მისცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორებს—შეიტანონ, ზედამხედველობის წესით, ამ რესპუბლიკების საპროცესო კანონების თანახმად, სათანადო სასამართლო ინსტანციაში, უზენაესი სასამართლოს პლენუმის ჩათვლით, განსახილველად ესა თუ ის საქმე, რომელზედაც განაჩენი თუ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, უკეთუ ამ საქმის წარმოებაში აღმოჩნდა მომქმედი კანონმდებლობის დარღვევა ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკის ინტერესების დარღვევა;

ი) შეაჩეროს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით, ამ რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულების დადგენილებისა, განაჩენისა და გადაწყვეტილების აღსრულება როგორც ამა მუხლის „თ“ პუნქტით გათვალისწინებულ საქმეებზე, ისე ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში შესატან საქმეებზე;

კ) მოითხოვოს, ზედამხედველობის წესით, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოების დამთავრებული საქმეები—გამოთხოვილ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებისა, განაჩენისა და დადგენილების შეჩერების უფლებით;

ლ) წინადადება მისცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორებს—განაპროტესტონ არსებული წესისამებრ ზემდგომ ორგანოებში, თვით სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმშიაც, ამ რესპუბლიკების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების დადგენილებანი და განკარგულებანი, უკეთუ ეს დადგენილებანი და განკარგულებანი ეწინააღმდეგებიან სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კონსტიტუციას და კანონმდებლობას;

მ) მოისმინოს მოხსენებები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურატურის მოქმედების პერსპექტიული გეგმების შესახებ წინამდგომარე წლისთვის და ავრეთვე მოისმინოს გასული წლის ანგარიშები სამუშაოთა გეგმების აღსრულების შესახებ;

ნ) შეამოწმოს ადგილებზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურატურის ორგანოების მუშაობა იმ მხრით, თუ როგორ არის დაყენებული პროკურატურის კადრების საქმე, როგორ ანხორციელებენ ისინი საერთო ზედამხედველობას სოციალისტური მშენებლობისათვის ხელის შეწყობის სფეროში, რამდენად მტკიცედ იცავენ კლასობრივ პოლიტიკას და სხვა ამისთ;

ო) მოიწვიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორთა პერიოდიული თათბირები როგორც თავისი ინიციატივით, ისე რესპუბლიკების პროკურორთა ინიციატივით, იმ საკითხების გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია კანონიერებისათვის საერთო ზედამხედველობის განხორციელებასთან და სასამართლო ზედამხედველობის განხორციელებასთან.

11. ა/კსფსრ პროკურორის ბრძანება, ცირკულიარი, ინსტრუქცია და განმარტება (მე-10 მუხლის „ე“ პუნ.) შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს მარტოოდენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

12. ა/კსფსრ პროკურორს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

13. ა/კსფსრ პროკურორს აქვს სათათბირო ხმის უფლება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულებელი კომისიისა და აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების კოლეგიებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების სხდომებზე.

14. უკეთუ აღმოჩნდება, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს (თათბირის) ესა თუ ის დადგენილება არ შეესაბამება სსრკ-ის კონსტიტუციას ან საერთო-საკავშირო კანონმდებლობას, აგრეთვე ა/კსფსრ-ის კონსტიტუციას და კანონმდებლობას, ა/კსფსრ პროკურორი წინადადებას წარუდგენს ამის თაობაზე ზემო აღნიშნული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

15. ა/კსფსრ პროკურორის მიერ მიღებულ ცნობას, განცხადებას და საჩივარს მომქმედი კანონმდებლობისა თუ ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დირექტივების დარღვევის შესახებ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებაში ისეთი საქმის წარმოების დროს, რომელზედაც ჯერ კიდევ გადაწყვეტილება ან განაჩენი გამოტანილი არ არის ან კანონიერ ძალაში არ შესულა, ა/კსფსრ პროკურორი გაუზავნის ზემოაღნიშნული რესპუბლიკის პროკურორს.

16. ა/კსფსრ-ის ყველა სახალხო კომისარიატი და ცენტრალური დაწესებულება, აგრეთვე საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის ორგანიზაცია მოვალეა გაუგზავნოს ა/კსფსრ პროკურორს ორ ცალად ყველა თავისი ცირკულიარი, ინსტრუქცია, ცირკულიარული განკარგულება და საუწყებო ბიულეტენი, როგორც მის მიერ გამოცემული, ისე საუწყებო წესისამებრ მიღებული სსრკ-ის სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებებიდან.

17. ა/კსფსრ პროკურორის ზედამხედველობა ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების მოქმედებისათვის შეიცავს:

ა) მეთვალყურეობას ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების საადმინისტრაციო-საუწყებო დადგენილებებისა, ცირკულიარებისა და განკარგულებების კონსტიტუციურობისა და საერთო-საკავშირო კანონმდებლობასთან და ა/კსფსრ კანონმდებლობასთან შეთანხმებულობისათვის;

ბ) მეთვალყურეობას ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანიზერებისათვის დადგენილებებისა, განკარგულებებისა და მოქმედების კანონიერებისათვის კონკრეტულ საქმეებზე მისი სპეციალური ამოცანებისა და უფლებამოსილების სფეროში.

18. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისათვის ზედამხედველობის გაწევის დროს ა/კსფსრ პროკურორი იხელმძღვანელებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ დებულებას და, ამასთანავე, მუდმივ მიმდინარე მეთვალყურეობას იგი განახორციელებს თავისი უფროსი თანაშემწის მეშვეობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც განწესებულია სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისათვის ზედამხედველობის გასაწევად.

19. ამერიკაკავასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების იმ საადმინისტრაციო-საუწყებო დადგენილებას, ცირკულიარს და განკარგულებას, რაც გამოცემულია სსრკ-ისა თუ ა/კსფსრ-ის კონსტიტუციის დარღვევით, ან რაც ეწინააღმდეგება საერთო-საკავშირო კანონმდებლობას და ა/კსფსრ კანონმდებლობას, ა/კსფსრ პროკურორი განაპროტესტებს მე-8 მუხლის „ა“ პუნქტის წესისამებრ.

ამერიკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების უკანონო დადგენილებას, განკარგულებას და მოქმედებას კონკრეტულ საქმეზე მისი სპეციალური ამოცანებისა და უფლებამოსილების სფეროში ა/კსფსრ პროკურორი განაპროტესტებს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში. ყველა იმ საქმეზე, რაც გაიფლის ამერიკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში, ა/კსფსრ პროკურორს და მის უფროს თანაშემწეს, ამერიკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისათვის ზედამხედველობის გასაწევად განწესებულს, უფლება აქვთ გამოითხოვონ საქმე გასასნჯად ზედამხედველობის წესით და აგრეთვე უფლება აქვთ შეაჩერონ ამერიკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების დადგენილება, განკარგულება და მოქმედება.

შენიშვნა. ზედამხედველობას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების მოქმედებისათვის ანხორციელებენ ამ რესპუბლიკების პროკურორები.

20. ა/კსფსრ პროკურორი აღძრავს სისხლის სამართლის წესით დევნას:

ა) ისეთ საქმეზე, რომელშიაც ბრალი ედება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრს სახელმწიფოებრივი, თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის ჩადენში, და აგრეთვე ისეთ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეზე, რომელიც ეხება ა/კსფსრ ინტერესებს მთლიანად ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რამდენიმე რესპუბლიკის ინტერესებს—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად თვითეული ცალკე შემთხვევაში;

ბ) ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს მიერ განსახილველ დანარჩენ საქმეებზე—თავისი უშუალო განკარგულებით.

21. ყველა იმ საქმეზე, რაც ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება, წინასწარი გამოძიება სავალდებულოა.

22. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე საქმეების წინასწარი გამოძიებისათვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც გამოძიებას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დააკისრებს სპეციალურ საგამომძიებელ კომისიას, ა/კსფსრ პროკურორი დანიშნავს მასთან განწესებულ უდიდეს საქმეების გამომძიებელს, ან განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიას, ან და წინადადებას მისცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის პროკურორს, რომლის ტერიტორიაზედაც დანაშაულია ჩადენილი, დანიშნოს ერთ-ერთი მასთან განწესებული უდიდეს საქმეთა გამომძიებელი.

23. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე საქმის წინასწარი გამოძიებისათვის საერთო მეთვალყურეობის გაწევა დაეკისრება ა/კსფსრ პროკურორს.

უახლოესი უშუალო მეთვალყურეობის გაწევა თვითეული ცალკე საქმის წინასწარი გამოძიებისათვის ა/კსფსრ პროკურორს შეუძლიან დაეკისრ ს თავის მოადგილეს ან ერთ-ერთ თავის თანაშემწეს.

24. უკეთუ წინასწარ გამოძიებას აწარმოებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროკურორთან განწესებული უდიდეს საქმეთა გამომძიებელი, ა/კსფსრ პროკურორი ყველა თავის წინადადებას, მინიშნებას და მოთხოვნას წარმართავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით.

25. გამოძიება დამთავრებული საქმე ყველა შემთხვევაში, სხვათა შორის მაშინაც, როდესაც გამორკვეულია საფუძვლები საქმის მოსსპობისათვის, წარედგინება ა/კსფსრ პროკურორს; ამასთანავე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის პროკურორთან განწესებული უდიდეს საქმეთა გამომძიებელი საქმეს წარმართავს ამ რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით, რომელსაც უფლება აქვს წარადგინოს თავისი დასკვნა საქმეზე.

26. უკეთუ გამოძიება სრული ან სწორე არ არის, ა/კსფსრ პროკურორს უფლება აქვს—დამატებითი საგამომძიებლო მოქმედებისათვის ან დაუბრუნოს მთელი საქმე იმავე საგამომძიებლო ორგანოს, ან გამოძიება მიანდოს სხვა საგამომძიებლო ორგანოს.

27. წინასწარი გამოძიების დამთავრებისას ისეთ საქმეზე, რომელ'ძაც ბრალი ედება ამერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრს სახელმწიფოებრივი, თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის ჩადენაში, ა/კსფსრ პროკურორი წარუდგენს საქმეს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს თავისი დასკვნითურთ შემდგომი წარმართვის შესახებ.

28. ა/კსფსრ პროკურორი ყველა თავის წარდგინებას ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოში და ამ სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეს წარმართავს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მეშვეობით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორები თავიანთ წარდგინებებს წარმართავენ ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოში აკსფსრ პროკურორის მეშვეობით.

29. უკეთუ ა/კსფსრ პროკურორი შეიტანს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ან ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში კანონიერებისათვის საერთო ზედამხედველობის გაწევის საკითხებს, რაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას ან ინტერესებს ეხება,—იგი თავისი წარდგინების ასლს გაუგზავნის სათანადო რესპუბლიკის პროკურორს.

თავისი მხრით, უკეთუ აღნიშნული რესპუბლიკების პროკურორები აღძრავენ სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების წინაშე საკითხს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტის პრეზიდიუმში ა/კსფსრ-ის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების დადგენილებათა და განკარგულებათა განპროტესტების შესახებ,—ისინი თავიანთი წარდგინებების ასლს გაუგზავნიან ა/კსფსრ პროკურორს.

30. ა/კსფსრ პროკურორი პასუხს აგებს მარტოოდენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველ წელს ა/კსფსრ პროკურატურის მოქმედების ანგარიშს და აგრეთვე პერიოდულ მოხსენებას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრულ ვადებზე.

თავი 4.

ა/კსფსრ პროკურორის მოადგილენი და უფროსი თანაშემწენი.

31. ა/კსფსრ პროკურორის მოადგილენი განახორციელებენ ა/კსფსრ პროკურორის ყველა უფლებას და მოვალეობას, როდესაც იგი არ იმყოფება სამსახურში ავადმყოფობისა, შვებულებისა და სხვა მიზეზის გამო.

სხვა დროს ა/კსფსრ პროკურორის მოადგილენი, ა/კსფსრ პროკურორის დირექტივების შესაბამისად, განახორციელებენ ა/კსფსრ პროკურორის ცალკეულ ფუნქციებს მისი უფლებამოსილებით.

32. ა/კსფსრ პროკურორის უფროსი თანაშემწენი უშუალო ხელმძღვანელობას უწევენ ა/კსფსრ პროკურორის დირექტივების შესაბამისად:

ა) უფროსი თანაშემწე, რომელიც ეწევა საკონსტიტუციო საერთო ზედამხედველობას კანონიერებისათვის და სასამართლო ზედამხედველობას,—ა/კსფსრ პროკურატურის მთელ მუშაობას ამ ზედამხედველობის სფეროში;

ბ) უფროსი თანაშემწე, რომელიც ზედამხედველობას უწევს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებს,—ა/კსფსრ პროკურატურის მთელ მუშაობას ამ ზედამხედველობის სფეროში;

გ) უფროსი თანაშემწე ტრანსპორტის საქმეთათვის—ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის მთელ მუშაობას.

33. ა/კსფსრ პროკურორის უფროს თანაშემწეთა უშუალო ურთიერთი მიმართვა მათი გამგებლობის საგნების გამო ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებთან და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებთან, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორებთან, მათ მიერ წარდგინებათა შეტანა ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობისა და სასამართლოს უმაღლეს ინსტანციებში, მათი ქვემდებარე პროკურატურისადმი საერთო ხასიათის ბრძანებისა, ცირკულიარისა, ინსტრუქციისა და და სხვა ამისთ. გამოცემა და აგრეთვე მათი ქვემდებარე პროკურატურის თათბირების მოწყობა—სწარმოებს ა/კსფსრ პროკურორის მიერ განსაზღვრულ წესით და ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

191. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან და დებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 30.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს შესახებ.

კ ა რ ი 1.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო.

თ ა ვ ი 1

ძირითადი დებულებანი.

1. ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე რევოლიუციონური კანონიერების დამყარებისა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მიერ განსახორციელებელი სასამართლო პოლიტიკის ერთიანობის უზრუნველყოფისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს დაეკისრება შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

ა) განახორციელოს საერთო და სასამართლო ზედამხედველობა;

ბ) დაამყაროს სასამართლო პოლიტიკის ერთიანობა;

გ) შეასრულოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციები;

3. რევოლიუციონური კანონიერებისათვის ზედამხედველობის (საერთო ზედამხედველობის) გაწევის სფეროში ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო:

ა) წარუდგენს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, მისი მოთხოვნისამებრ, დასკვნებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი პრეზიდიუმებისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და ა/კსფსრ სახახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა და ავრეთვე სსრკ-ის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების დადგენილებათა კანონიერების შესახებ— ა/კსფსრ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თვალსაზრისით;

ბ) შეიტანს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში წარდგინებას ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულების,—გარდა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა,—დადგენილებების შეჩერებისა და გაუქმების შესახებ, უკეთუ ეს დადგენილებები არ შეესაბამება სსრკ-ის კონსტიტუციას და საერთო-საკავშირო კანონმდებლობას, ა/კსფსრ კონსტიტუციას და კანონმდებლობას და ავრეთვე სსრკ-ის სახალხო კომისარიატების დადგენილებებს;

გ) შეიტანს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში საკითხს იმის შესახებ, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი პრეზიდიუმების ესა თუ ის დადგენილება არ ეთანხმება სსრკ-ის კონსტიტუციას და საერთო საკავშირო კანონმდებლობას და ავრეთვე ა/კსფსრ კონსტიტუციას და კანონმდებლობას;

დ) განმარტავს ა/კსფსრ კანონმდებლობას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადებით და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეკითხვით, ავრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულების შეკითხვით, თანაც საკუთარი ინიციატივით.

4. სასამართლო ზედამხედველობისა და სასამართლო პოლიტიკის ერთიანობის დამყარების სფეროში ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო:

ა) მისცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს ა/კსფსრ კანონმდებლობის სახელმძღვანელო აღსნა-განმარტებებს მათ სასამართლო პრაქტიკაში აღძრული საკითხების გამო;

ბ) მისცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს სადირექტივო მინიშნებებს ისეთი საკითხების გამო, რაც საჭიროებს სასამართლო პოლიტიკის ერთიანი ხაზის გატარებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე;

გ) განიხილავს ზედამხედველობის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების პლენუმთა დადგენილებებს; ამასთანავე, მას უფლება აქვს:

1) გააუქმოს ეს დადგენილებანი, უკეთუ ისინი ეწინააღმდეგებიან სსრკ-ის კონსტიტუციას, ა/კსფსრ კონსტიტუციას, სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობას, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სადირექტივო მინიშნებებს, და აგრეთვე, უკეთუ ეს დადგენილებანი არღვევენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკების ინტერესებს;

2) განაპროტესტოს იგივე დადგენილებანი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკების სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების წინაშე, უკეთუ ეს დადგენილებანი ეწინააღმდეგებიან აღნიშნული რესპუბლიკების მატერიალურ და პროცესუალურ კანონებს;

დ) მოისმინოს უზენაესი სასამართლოების მოხსენებანი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლოს ორგანოების მოქმედებისა და მათ მიერ გასახორციელებელი სასამართლო პოლიტიკის შესახებ;

ე) შეამოწმოს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებისამებრ თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების მუშაობა;

ვ) შეისწავლოს ამორჩევის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლო პრაქტიკის ცალკეული დარგები;

ზ) განიხილოს, გააუქმოს და შესცვალოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოების განაჩენები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები, უკეთუ ისინი ეწინააღმდეგებიან საერთოსაკავშირო კანონმდებლობას და ა/კსფსრ კანონმდებლობას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების იმ მატერიალურ და პროცესუალურ კანონებს, რაც შეფარდებულ უნდა იქნეს საქმეების განხილვის დროს.

შენიშვნა. ამა მუხლის „ზ“ პუნქტში აღნიშნულ საქმეებს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო განიხილავს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით ან ა/კსფსრ პროკურორის პროტესტით, აგრეთვე კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოების სხდომების თავმჯდომარეთა წარდგენებით და ამ სხდომებში მონაწილე პროკურორების პროტესტით, იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სათანადო საპროცესო კოდექსებით.

უკეთუ განაჩენი, გადაწყვეტილება ან დადგენილება გაუქმებულ იქნა, საქმე გადაეცემა ხელახალი განხილვისათვის, მოსამართლეთა სხვა შედგენილობაში, იმავე კოლეგიას ან ახალი შედგენილობით მოწყობილ სპეციალურ სასამართლო საკრებულოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო, უკეთუ აღნშნულ განაჩენსა, გადაწყვეტილებასა და დადგენილებაში შესატანი ცვლილება არსებითი არ არის და იგი შეიძლება მოხდეს ისე, რომ საქმე ხელახლად არ იქნეს სასამართლოში განხილული, ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს შეუძლიან თვით, უშუალოდ, მოახდინოს ეს ცვლილება.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო:

ა) განიხილავს ისეთ საქმეებს, რომლებშიაც ბრალი ედება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთ სახელმწიფო, თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე ისეთ საქმეებს, რომელშიაც ბრალი ედება ა/კსფსრ სხვა უმაღლეს თანამდებობის პირთ იმავე დანაშაულთა ჩადენაში, თანასმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული სიისა;

ბ) განიხილავს განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლის საქმეს და სამოქალაქო საქმეებს, რაც ეხება ა/კსფსრ-ის ინტერესებს მთლიანად ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რამდენიმე რესპუბლიკის ინტერესებს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებისამებრ თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

6. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე საქმეების წარმოების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს საერთო-საკავშირო და ა/კსფსრ-ის კანონები და აგრეთვე იმ რესპუბლიკის მატერიალური და პროცესუალური კანონები, რომლის ტერიტორიაზედაც ჩადენილია დანაშაული, ან აღიძრა სადაო სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობა.

7. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ყველა მოთხოვნა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების თაობაზე ცნობებისა და მასალების წარდგენის შესახებ დაუყოვნებლივ აღსრულებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა ორგანოს მიერ.

8. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის ის დადგენილებანი, რაც შეტანილ არ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში (მე-3 მუხლის „დ“ პუნ. და მე-4 მუხლის „ა“ „ბ“ „გ“ „დ“ „ვ“ და „ზ“ პუნქტები), საბოლოოდ და საავალდებულო ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა სასამართლო და სხვა დაწესებულებისათვის და შეიძლება განპროტესტებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ა/კსფსრ პროკურორისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ პროკურორის პროტესტი შეაჩერებს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების განხორციელებას ა/კსფსრ მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების პროტესტი—სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

9. ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

თავი 2.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა.

10. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო მოქმედობს შემდეგი შედგენილობით:

ა) პლენუმი;

ბ) სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;

გ) სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

დ) სპეციალური სასამართლო საკრებულოები სისხლის საქმეთა და სამოქალაქო საქმეთათვის.

შენიშვნა. ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოსთან მოეწყობა ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლო, რომელიც მოქმედობს სპეციალური კანონის საფუძველზე.

11. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ორი მისი მოადგილე, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარენი და რვა წევრი, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარენი.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის ავადმყოფობისა თუ სხვა პატივსადები მიზეზის გამო არყოფნის დროს მის მაგიერობას ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში ეწევა კოლეგიის დროებითი თავმჯდომარე.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ავადმყოფობისა სხვა პატივსადები მიზეზის გამო არყოფნის დროს მის მაგიერობას ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში ეწევა იმავე რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

12. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე და სამი წევრი, რომელთაც გამოჰყოფს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ერთი წლის ვადით.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგია მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, ერთი მუდმივი წევრი, რომელსაც პერსონალურად დანიშნავს ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, და სამი წევრი, რომელთაც გამოჰყოფს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ერთი წლის ვადით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წევრთა არყოფნის შემთხვევაში ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლიან ამ კოლეგიების წევრთა მოვალეობა დროებით ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სხვა წევრებს დააკისროს.

13. ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს სპეციალურ სასამართლო საკრებულოებს მოაწყობს აღნიშნული სასამართლოს პლენუმი შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე და წევრები, რომელთაც გამოჰყოფს პლენუმი ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს წევრთაგან, მისეე სათადარიგო წევრთაგან და სახალხო მსაჯულთაგან.

14. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სათადარიგო წევრები დაინიშნებიან, უკეთუ საჭიროა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის განსაკუთრებული დადგენილებით.

15. ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოსთან იმყოფებიან სახალხო მსაჯულნი 13 კაცის რიცხვით, თანახმად განსაკუთრებული სიისა, რასაც ყოველ წელს ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; მათგან 6 დამტკიცებულ იქნება იმ კანდიტატთა რიცხვიდან, რომელთაც წარადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები, ხოლო 7—ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს მიერ წარდგენილ კანდიდთა რიცხვიდან.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოების სამსჯავრო სხდომების შედგენილობაში ცალკეული საქმეებისათვის შეიძლება დანიშნულ იქნეს თითო სახალხო მსაჯული.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს შედგენილობაში სახალხო მსაჯულს დანიშნავს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი, ხოლო დაუყოვნებელ შემთხვევაში—ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სასამართლო კოლეგიის შედგენილობაში სახალხო მსაჯულს დანიშნავს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

16. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს (პლენუმისა და კოლეგის) წევრის სამართალში მიცემა ან დაპატიმრება, პირადი შეპყრობა თუ გაჩხრეკა არ შეიძლება ისე, თუ არა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის თანხმობით, ხოლო სასწრაფო შემთხვევაში—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანხმობით.

თავი 3.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

17. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის კომპეტენციას შეადგენს:

ა) განიხილოს მე-3, 4 და 9 მუხლებში აღნიშნული ყველა საკითხი;

ბ) გამოჰყოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს წევრები სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების შედგენილობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოაწყოს სპეციალური სასამართლო საკრებულოები;

დ) დაამტკიცოს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში წარსადგენად, ა/კსფსრ უმაღლესი სასამართლოს მოქმედების წლიური ანგარიში.

18. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი არის მორიგი და საგანგებო.

მორიგი პლენუმი მოიწვევა ორ თვეში ერთხელ მაინც.

საგანგებო პლენუმი მოიწვევა ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით, ა/კსფსრ პროკურორის მოთხოვნით და აგრეთვე არა ნაკლებ, ვიდრე პლენუმის ორი წევრის მოთხოვნით.

19. პლენუმის კანონიერებისათვის საჭიროა დაესწროს მისი ცხრა წევრი მაინც, მათ შორის არა ნაკლებ, ვიდრე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების ორი თავმჯდომარე.

20. პლენუმს აუცილებლად უნდა დაესწროს ა/კსფსრ პროკურორი ან მისი მოადგილე და მისცეს დასკვნები საერთო და სასამართლო ზედამხედველობის საკითხების გამო. ა/კსფსრ პროკურორის განსაკუთრებული უფლებამოსილებით დასკვნების მიცემა შეუძლიანთ აგრეთვე მის უფროს თანაშემწეებს.

პლენუმს შეიძლება დაესწრნენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორნი ან მათი მოადგილენი სათათბირო ხმის უფლებით.

თვითანთი გამგებლობის საკითხების გამო პლენუმს შეიძლება დაესწრნენ სათათბირო ხმის უფლებით ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიების ის წევრები, რომელნიც პლენუმის შედგენილობაში არ შედიან, და აგრეთვე ა/კსფსრ პროკურორის უფროსი თანაშემწეები. ა/კსფსრ პროკურორის დანარჩენი თანაშემწეები დაესწრებიან პლენუმს სათათბირო ხმის უფლებით მხოლოდ ისეთი საქმეების გამო, რომლებშიაც უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ.

21. პლენუმს თავმჯდომარეობს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში შეტანილ საქმეებს მოახსენებს თავმჯდომარე ან, მისი უფლებამოსილობით, მისი მოადგილე, ან და მისი ერთ-ერთი თანაშემწე.

ყველა სხვა საკითხს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის მოსახსენებლად გაანაწილებს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პლენუმის წევრთა შორის.

ყველა საკითხი გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით. უკეთუ ხმები თანასწორ გაიყო, ორივე ხმად-მიქცეული წინადადება წარედგინება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

პლენუმის წევრებს უფლება აქვთ შეიტანონ წერილობით თავიანთი განსაკუთრებული აზრი სამი დღის განმავლობაში პლენუმის დამთავრების შემდეგ; ამასთანავე, უკეთუ კანსაკუთრებული აზრი წარიდგინება ისეთი დადგენილების გამო, რაც შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ამ განსაკუთრებულ აზრს ა/კსფსრ უზენაესი სასამართ-

ლოს თავმჯდომარე მოახსენებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს საკითხზე მოხსენების გაკეთების დროს.

22. ა/კსფსრ უზენაესი სმსამართლოს საკომპეტენციო საკითხები შეიტანება მისდა განსახილველად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, ა/კსფსრ პროკურორის წარდგენით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებლი კომიტეტების ინიციატივით და საკუთარი ინიციატივით,

23. ა/კსფსრ პროკურორის მოთხოვნა ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს საგანგებო პლენუმის მოწვევის შესახებ და წარდგინება ამა თუ იმ საკითხის ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში განსახილველად შეტანის შესახებ, აგრეთვე მოთხოვნა ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს კოლეგიებიდან და სპეციალური საკრებულოებიდან საქმეების წარგზავნის შესახებ—ზედამხედველობის წესით განსახილველად—საველდებულოა ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოსათვის.

24. უკეთუ ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი მიიღებს ისეთ დადგენილებას, რაც არ ეთანხმება ა/კსფსრ პროკურორის წარდგინებას ან დასკვნას, იგი მოვალეა აღნიშნოს ა/კსფსრ პროკურორის წარდგინებისა თუ დასკვნის უარყოფის მოტივები.

25. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროკურორები თავიანთ წარდგინებებს წარმართავენ ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში ა/კსფსრ პროკურორის მეშვეობით.

თ ა ვ ი 4.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

26. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში თავმჯდომარეობის გარდა, დაეკისრება აგრეთვე:

ა) თვალყური ადევნოს, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მინიშნების თანახმად, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ყველა კოლეგიის მოქმედებას;

ბ) განამზადოს და შეიტანოს განსახილველად ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს პლენუმებში ამ პლენუმების საკომპეტენციო საკითხები;

გ) დანიშნოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების სამსჯავრო სხდომებში მეთავმჯდომარენი და წევრნი, უკეთუ ამ კოლეგიების თავმჯდომარენი და წევრნი არ იმყოფებიან;

დ) დაამტკიცოს შემდგომი წარმართვისათვის ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ხარჯთაღრიცხვისა და შტატების პროექტი;

ე) შეადგინოს კოლეგიების ანგარიშების საფუძველზე ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს საერთო ანგარიში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს საადმინისტრაციო-სამეურნეო აპარატს.

27. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ანხორციელებს წარმომადგენლობას ამ სასამართლოს სახელით.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს სათათბირო ხმის უფლება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში.

28. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მიიღოს თავის თავზე თავმჯდომარეობა ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს ყველა კოლეგიის სამსჯავრო და განმეორებითგებელ სხდომებში.

29. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს წინადადება მისცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს შეიტანონ ხელმე, ზედამხედველობის წესით, ამ რესპუბლიკების საპროცესო კანონების თანმხმად, საათანადო სასამართლო ინსტანციების მიერ განსახილველად, თვით რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმშიაც, ესა თუ ის საქმე, რომელზედაც განაჩენი და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, უკეთუ გამოაშკარავებულ იქნება, რომ ამ საქმის წარმოების დროს დარღვეულია სსრკ-ის და ა/კსფსრ კონსტიტუცია და მომქმედი კანონმდებლობა და აგრეთვე, უკეთუ დარღვეულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკების ინტერესები.

30. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს:

ა) გამოითხოვოს გადასათვალიერებლად ყველა წარმოება-დამთავრებული საქმე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლო ორგანოებიდან;

ბ) შეაჩეროს ამ რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებანი გადათვალიერებამდე ან ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ უწყვეტულ საქმეზე დადგენილების გამოტანამდე;

გ) შეაჩეროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების განაჩენები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები, უკეთუ საქმე განსახილველად გადაცემულ იქნება ზემდგომ ინსტანციაში ამა დებულების 29 მუხლის წესისამებრ.

31. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ანხორციელებს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყველა უფლება-მოვალეობას, უკეთუ თავმჯდომარე არ იმყოფება ავადმყოფობისა, შვებულებისა ან სხვა გარემოების გამო; სხვა დროს ანხორციელებს, ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ამა თუ იმ ცალკეულ ფუნქციას მისი უფლებამოსილობით და მინიშნებების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 5.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები და სპეციალური სასამართლო საკრებულოები.

32. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ სამოქალაქო საქმეებს, გარდა ისეთი საქმისა, რაც, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილების თანახმად თვითეულ ცალკე შემთხვევაში, გადაცემულია განსახილველად ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურ სასამართლო საკრებულოში.

ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს სისხლის საქმეებს, რომლებშიაც ბრალი ედებათ ა/კსფსრ უმაღლესი თანამდებობის პირთ,—გარდა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრებისა,—მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში; განიხილავს აგრეთვე მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ სისხლის საქმეებს, გარდა ისეთი საქმისა, რაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილების თანახმად თვითეულ ცალკე შემთხვევაში, გადაცემულია განსახილველად ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურ სასამართლო საკრებულოში.

სპეციალური სასამართლო საკრებულო განიხილავს საქმეებს, რომლებშიაც ბრალი ედებათ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრებს მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში; განიხილავს აგრეთვე მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ სისხლის და სამოქალაქო საქმეებს, რაც, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილების თანახმად თვითეულ ცალკე შემთხვევაში, ამ საკრებულომ უნდა განიხილოს.

33. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განმწესრიგებელი და სამსჯავრო სხდომები მოხდება სამი პირის შედგენილობით, ხოლო სპეციალური სასამართლო საკრებულოს სხდომები—ამა თუ იმ საქმისათვის მოწყობილი სპეციალური სასამართლო საკრებულოს თეული შედგენილობით.

34. ამა თუ იმ საქმისათვის ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს მოწყობამდე დაუყოვნებელი საკითხები აღნიშნული საქმის გამო განიხილება სისხლის საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიების განმწესრიგებელ სხდომებზე—კუთვნილებისამებრ.

35. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოს განმწესრიგებელ სხდომაზე აუცილებლად გამოწვეულ უნდა იქნეს ა/კსფსრ პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურატორის წარმომადგენელი, ხოლო მისი გამოუცხადებლობა განმწესრიგებელ სხდომას ვერ შეაჩერებს.

36. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენი და გადაწყვეტილება გამოიტანება ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელით.

37. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენ-, გადაწყვეტილება და დადგენილება არ განისაჩივრება საკასაციო წესით და შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნეს ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ ზედამხედველობის წესისამებრ მე-4 მუხლის „ზ" პუნქტში აღნიშნულ საფუძვლებზე.

38. ა/კსფსრ უზანაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენს, გადაწყვეტილებას და დადგენილებას და აგრეთვე ამ განაჩენზე, გადაწყვეტილებაზე და დადგენილებაზე ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ გამოტანილ დადგენილებას აღსრულებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სათანადო ორგანოები აღსრულების ადგილის მიხედვით.

39. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა კოლეგიისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოს მიერ მსჯავრდადებულ პირთ ვადამდე პირობითს განთავისუფლებას შეუფარდებს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

40. შუამდგომლობა ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ განიხილება სამსჯავრო სხდომაზე ა/კსფსრ პროკურატურის წარმომადგენლის მონაწილეობით და აგრეთვე მსჯავრდადებულთა და შუამდგომლობის აღმძვრელ პირთა და ორგანოების წარმომადგენელთა დაბარებით.

მსჯავრდადებულისა და აგრეთვე შუამდგომლობის აღმძვრელ პირთა და ორგანოების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს საქმის განხილვას.

ადგილობრივი განმანაწილებელი კომისიის წარმომადგენლის დასწრება საჭიროებულია, უკეთუ შუამდგომლობა ვადამდე პირობით განთავისუფლების შესახებ განიხილება მსჯავრდადებულის სამყოფელ ადგილას.

ხოლო, უკეთუ შუამდგომლობა განიხილება მსჯავრდადებულის სამყოფელი ადგილის გარეშე, სათანადო განმანაწილებელ კომისიას უფლება აქვს წარადგინოს თავისი დასკვნა.

41. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები ურთიერთისადმი მიმართვას სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკებისა და აგრეთვე ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებთან და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებთან აწარმოებენ ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავ-რის მეშე�sრ.

სხვა ორგანოებთან და პირებთან ურთიერთ მიმართვას აღნიშნული კოლეგიები ასხორციელებენ უშუალოდ.

42. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებისა და სპეციალური სასამართლო საკრებულოს ყველა მოთხოვნა და განკარგულება მოწმეთა დაკითხვისა და გამოწვევისა, ექსპერტიზის წარმოებისა და სხვა სასამართლო მოქმედების შესახებ სავალდებულოა ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა სასამართლო და სხვა ორგანოსათვის.

43. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთ დაეკისრებათ:

ა) კოლეგიების განმწესრიგებელ და სამსჯავრო სხდომებზე თავმჯდომარეობა;

ბ) კოლეგიაში შესული საქმეების კოლეგიის წევრთა შორის განაწილება ამ საქმეების განმწესრიგებელ და სამსჯავრო სხდომებზე განხილვისათვის მოსამზადებლად;

გ) ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით გასასვლელი სესსიების დანიშვნა—ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის თვითეული სესსიის პერსონალური შედგენილობის შეტყობინებით;

დ) ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს საერთო ანგარიშში მოსათავსებელი კოლეგიების მოქმედების ანგარიშების შედგენა და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის წარდგენა;

ე) ადმინისტრატიული ხასიათის საგანკარგულებო ფუნქციების განხორციელება.

44. სამოქალაქო საქმეთა და სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების წევრთა მოვალეობას შეადგენს:

ა) მონაწილეობა მიიღონ კოლეგიების სამსჯავრო და განმწესრიგებელ სხდომებში;

ბ) წარადგინონ კოლეგიების სხდომებზე მოხსენებები ცალკეულ საკითხთა და საქმეთა შესახებ;

გ) შეასრულონ სპეციალური მინდობილობანი, რასაც მათ ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმი, მისი თავმჯდომარე ან კოლეგიის თავმჯდომარე დაკისრებენ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

192. სასოფლო საბჭოების დათვალიერების თვიურის ვადის განგრძობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„სასოფლო საბჭოების დათვალიერების თვიურის ჩატარების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის ა/წ. აგვისტოს 2-ის დადგენილებით თვიურის ჩატარებისათვის განსაზღვრული ვადა განგრძობილ იქნეს სექტემბრის 25-მდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი**

1931 წ. აგვისტოს 29.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

193. სექტემბრის 1-თვის სამომხმარებლო კოოპერაციისა და მომარაგების სახალხო კომისარიატის შენაერთებისათვის იმ სადგომების გადაცემის შესახებ, რომლებშიაც წინად ხორცისა, თევზისა, ბოსტნეულისა და რძის ვაჭრობა სწარმოებდა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ყველა საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს, არა უგვიანეს 1931 წ. სექტემბრის 1-სა, სამომხმარებლო კოოპერაციას და მომარაგების სახალხო კომისარიატის შენაერთებს, მათი სავაჭრო ქსელის გეგმების შესაბამისად, ყველა ის საავაჭრო სადგომი, რომელიც გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ და რომელშიაც წინად ხორცის, თევზის, ბოსტნეულის და რძის ვაჭრობა სწარმოებდა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აგვისტოს 26.
№ 393.
ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 236 №-ში 1931 წ. აგვისტოს 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

194. სარკინისგზო საწყობების თავის დროზე განტვირთვის ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სარკინისგზო საწყობების თავის დროზე განტვირთვისა და აგრეთვე ყველა ახლად მოსაბიდი ტვირთვისათვის მოძრავი შედგენილობის განთავისუფლების მიზნით—სარკინისგზო საწყობებში ტვირთის შენახვის ზღვრულ ვადად დაწესებულ იქნეს ხუთი დღედაღამე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის გასვლისას ის ტვირთი, რაც მიღებული არ არის, ლიკვიდირებულ იქნეს საერთო საფუძველზე, როგორც მოუკითხავი ტვირთი.

3. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას, დაწესებულებას და საწარმოს გამოზიდოს მისი ადრესით მოსული ტვირთი, რაც ამ ჟამად სარკინისგზო საწყობებში ინახება, 15 დღის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) იზმარონ სასწრაფო ღონისძიება, რათა პირველ რიგში ავტოტრანსპორტით და ჭაპაზზიდვით უზრუნველყოფილ იქნეს სარკინისგზო სადგომებიდან ტვირთის გამოზიდვა;

ბ) მოაწყონ ტვირთის გამოზიდვისათვის თვალყურის სადევნელად სამეურლები, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით.

5. წინადადება მიეცეს სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, გზათა სახალხო კომისარიატს ეკონომიური-საგეგმო სამმართველოს მეშვეობით, მტკიცედ შეუფარდოს ხოლმე ტვირთის მიმღებთ მისთვის მინიჭებული უფლება მათი დაჯარიმებისა ტვირთის გამოუზიდველობისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართვ. თან. დრ. აღმსრ. **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აგვისტოს 26
№ 394.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 237 №-ში 1931 წ. აგვისტოს 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

195. საუწყებო მილიციის შესანახად საჭირო სპეციალური სახსარის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საუწყებო მილიციის შესანახად საჭირო სპეციალური სახსარის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ ამა დადგენილების საფუძველზე ანალოგიური დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აგვისტოს 26.
№ 396.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საუწყებო მილიციის შესანახად საჭირო სპეციალური სახსარის შესახებ.

1. საუწყებო მილიციის შესანახი სახსარი შეიქმნება იმ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ საამისოდ გადადებული ასიგნებებისგან, რომელთაც ადგილობრივ სამმართველოებთან დადებული აქვთ განსაკუთრებული ხელშეკრულებები მათი ტერიტორიებისა თუ ობიექტების სპეციალურად დაცვის შესახებ.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრებში, აგრეთვე დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-ტერიტორიალურ ერთეულებად გამოყოფილ ქალაქებში 1-ლ მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს დასდებენ რესპუბლიკებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მილიციის სამართველოები, ხოლო რაიონის ტერიტორიაზე—მილიციის საარაიონო სამმართველო, რომლის მიერ დადებულ ხელშეკრულებას დამტკიცებს რესპუბლიკისა, ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მილიციის საათანადო სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესებულებათაგან, საწარმოთაგან და ორგანიზაციათაგან საუწყებო მილიციის შესანახად მიღებული ყველა თანხა რესპუბლიკისა, ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მილიციის სამმართველოს მიზნობრივი სახსარია და იხარჯება მხოლოდ საუწყებო მილიციის შესანახად.

შენიშვნა. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი სათანადო ასსიგნებს გაატარებენ თავიანთ ხარჯთაღრიცვებში.

4. საუწყებო მილიციის შესანახად გადადებულ ასსიგნებს ყველა საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია შეიტანს რესპუბლიკისა, ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მილიციის მთავარ სამმართველოს მიმდინარე ანგარიშზე ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე და წესისამებრ.

5. საუწყებო მილიციის შესანახად მიღებული სახსარის წესიერად და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის თვალყურისდევნება დაეკისრება რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ მილიციის მთავარ სამმართველოებს.

6. საუწყებო მილიციის საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვებს, მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მილიციის სამმართველოები, წარადგენენ შეჯუმლილად რესპუბლიკების მილიციის მთავარი სამმართველოები.

7. საუწყებო მილიციის შესანახი ხარჯთაღრიცხვის ნომენკლატურა დადგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საერთო მილიციის ორგანოების ხარჯთაღრიცხვის ნომენკლატურის მიხედვით.

8. დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის განცხადება დამატებითი პოსტების დადგენისა და ახალი ობიექტების დაცვის ორგანიზაციის შესახებ, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულთა ზედმეტად, გაფორმებულ უნდა იქნეს დამატებითი ხელშეკრულების დადების წესით.

9. ხელშეკრულება დაიდება არა ნაკლებ, ვიდრე ერთი საბიუჯიტო წლის ვადით.

პოსტების შემცირება ან ობიექტების დაცვის მოხსნა განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

10. საუწყებო მილიციის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს რესპუბლიკებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მილიციის სამმართველოები წარუდგენენ განსახილველად ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რესპუბლიკურ და საოლქო ორგანოებს საერთო მილიციის შესანახ ხარჯთაღრიცხვასთან ერთად.

11. ნაშთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში გამოუყენებული სახსრისა, რაც მიღებულია საუწყებო მილიციის შესანახად, ახალ საბიუჯეტო წელიწადში მოხმარდება საერთო მილიციის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

196. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს და ამიერკავკასიის მეგამბეობის კომიტეტის მოხსენების გამო — ბამბის გადასაზიდად გზების მზადმყოფობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—ამხ. იაშვილის—და ამიერკავკასიის მეგამბეობის კომიტეტის—ამხ. კუზნეცოვის—ცნობა ბამბის გადასაზიდად გზების განმზადებისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ, რადგანაც საქართველოს სსრ-ში არ სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის სამუშაოები, ხოლო აზერბაიჯანის სსრ-ის სამამე რაიონებში თვალსაჩინოდ დაგვიანდა სარემონტო სამუშაოების ორგანიზაცია და ადგილობრივმა ორგანოებმა ნაკლებად მიაქციეს ყურადღება იმას, რომ გზები ზიდვისათვის ვარგებულიყო, სამამე რაიონებში გზების მდგომარეობა ამჟამადაც საფრთხეს წარმოადგენს.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა სომხეთის სსრ სამამე რაიონებში, წარმოდგენილი არ არის და მიიქცეს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ეს მოვლენა შეუწყნარებელია.

2. მიექცეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაუყოვნებლივ მოაწყონ მუშაობა სამამე რაიონებში გზების ზიდვად გზებად გადაქცევისათვის; აგრეთვე მიექცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყურადღება იმას, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ყოველი ღონისძიება, რათა ბამბის გადაზიდვის დაწყებამდე დარჩენილი დრო აუცილებლად მოხმარდეს გზების საზიდავ გზებად გადაქცევას სამამე რაიონებში.

3. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—სასწრაფოდ გადაგზავნოს სამუშაოთა ადგილას ჰეიდარ-ყოჩარლუში დროებით ორი სატვირთო მანქანა ამ გზაზე წარმოებული მუშაობის დასამაგრებლად.

4 მიეწდოს ამხ. იაშვილს და ამხ. კურბაკოვს—სამი დღის განმავლობაში შეთანხმდნენ ყარა-ჯალისა, ჰეიდარისა, აღჯაბედისა, გიაურ არხისა, დელიბურუნისა და სალიან-პუშკინის საბჭოთა მეურნეობების მეურნეობებშიგნითი გზების მშენებლობაში საერთო მონაწილეობის შესახებ (საშენი მასალით უზრუნველყოფა).

5. სექტემბრის 9-ს საკითხი კვლავ მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აგვისტოს 19.

№ 24.

ტფილისი.

მთავლ. № 2212. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400